პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა)

ბ) ბიოლოგია/ქიმია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისთვის (ბიოლოგია/ქიმია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან: ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზანია:

კლინიკურ პრაქტიკაზე და კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით, ფართო პროფილის პროფესიონალი ვეტერინარი ექიმების მომზადება, ცხოველთა ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საკვებწარმოების სფეროებში, რომელიც შეძლებს, პროგრამის ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების რეალიზაციას შემდეგ მისიებში:

1. უზრუნველყოს ცხოველების მოვლა, მკურნალობა და მათი უფლებების დაცვა;
2. უზრუნველყოს დაავადებების გავრცელების პრევენცია ცხოველთა პოპულაციაში;
3. იყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გარანტი, განსაკუთრებით საკვების უსაფრთხოებისა და სანიტარული ხარისხის უზრუნველყოფით და ცხოველებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენით;
4. შიეტანოს წვლილი ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში;
5. განავითაროს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმათლებლო საქმიანობა;
6. ხელი შეუწყოს ტრასლაციური და შედარებითი მედიცინის განვითარებას, „ერთი ჯანდაცვის“ პრინციპების გათვალისწინებით;
7. უზრუნველყოს საზოგადოებაში „ადამიანი-ცხოველი“ ინტერფეისის ჰარმონიული განვითარება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ევროპული დირექტივის 2005/36/EC (შესწორება 2013/55/EU), ასევე ვეტერინარული განათლების დაწესებულებების ევროპული ასოციაციის გაიდლაინების (EAEVE) მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ჰარმონიზირებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, შემუშავებულ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 8 25 0000224657, 04.03.2025 წ.) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ

პროგარმაში, განისაზღვრა შემდეგი ორი მაკროკომპეტენციის სფერო: დარგობრივი (სპეციფიკური) ვეტერინარისთვის და ზოგადი (ტრანსვერსალური) ასევე ადაპტირებულია ვეტერინარის პროფესიის სპეციფიკასთან. (იხ. დანართი 1, თანდართულ დოკუმენტაციაში: „ვეტერინარია - კომპეტენციები და შედეგები“)

- ✓ ვეტერინარიის დარგობრივი მაკროკომპეტენციები: "კონსულტაცია და პრევენცია", "დიაგნოსტიკა", "მოვლა და მკურნალობა", "საზოგადოებრივი ჯანდაცვა"
- ✓ ზოგადი (ტრანსვერსალური) მაკროკომპეტენციები: „კომპანიაში მუშაობა“, „კომუნიკაცია“, „მეცნიერის როლი“, „პასუხისმგებლობით მოქმედება“.

თითოეული მაკროკომპეტენცია ნაწილდება სხვადასხვა ქვეკომპეტენციებად. თვითოეული ქვეკომპეტენცია განიხილება როგორც მიღწეული „სწავლის შედეგი“, რომელბიც ჩაშლილია სხვადასხვა უნარების ერთობლიობის სახით, თვითოეული მათგანი აღწრეს სიტუაციას რომლიც უნდა იყოს გაანალიზებული, ან მოქმედებას რომელიც უნდა განხორციელდეს.

სასწავლო პროგრამაში გამოყენებული კომპლექსური კომპეტენციების დანერგვა ეფექტურია მხოლოდ ცოდნის ბაზის შესაბამისი თანმიმდევრული მობილიზებით, რომელიც განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია ვეტერინარული მეცნიერებების სფეროში.

შენიშვნა: იხ. დანართი 1, თანდართულ დოკუმენტაციაში “კომპეტენციათა თანხვედრი სქემა”, სადაც სქემატურადაა ნაჩვენები თანხვედრა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 8 25 0000224657, 04.03.2025 წ.) და საფრანგეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანებით (2017 წლის 20 დეკემბრი) განსაზღვრული ვეტერინარული პროფესიის კომპეტენტურობებს შორის (Annex to the Ministerial Order of 20 April 2007 relating to veterinary studies Ministry of Agriculture and Food Directorate General for Education and Research – December 2017 (https://envt.fr/wp-content/uploads/2021/05/Re%CC%81fe%CC%81rentiel-activite-professionnelle-et-competences_Etudes-veterinaires_janvier-2018_Vdef1-1.pdf)

ცოდნის დემონსტრირების სპეციფიკური ინდიკატორები ასევე უნდა დაეხმარონ პედაგოგებს შეაფასონ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების ეფექტური განხორციელება, უნარების ამსახველი დაკვირვებადი ნიშნების მითითებით.

თვითოეული შედეგისთვის, დემოსტრაციის დონე (ფორმა) არის სპეციფიკური და ასახავს თუ რა შედეგისთვის უნდა მიეღწია სტუდენტს შემდეგი ტოპოლოგიის შესაბამისად:

- ✓ ცოდნა და გაცნობიერება - "აქვს ნანახი", ათვისებული და გაცნობიერებული
- ✓ შესრულების უნარი - "ჩაატარა", ახორციელებეს მითითებებით და ზედამხედველობით
- ✓ შესრულების ავტონომიურობა - "იცის როგორ ჩაატაროს", ახორციელებს ავტონომიურად

თვითოეული შედეგის დემოსტრირება შესაძლებელია შესრულებული იყოს კლინიკური როტაციის ან სტაჟირების (პრაქტიკების) პერიოდში, ცოცხალი ან მოდელირებული ექსპერიმენტის ფორმით.

შენიშვნა.

1. *მითითებულია ძირითადი სახეობები ან სახეობების ჯგუფები, რომლებზეც სასურველია ცოდნის დემონსტრირება, (სადაც ეს შესაძლებელია, თუ არ არის მითითებული, ეს ნიშნავს, რომ პოტენციალი წარმოდგენილია მინიმუმ ერთი სახეობით). აღსანიშნავია რომ სწავლის პროცესში სტუდენტები ეცნობიან სახეობათა ფართო სპექტრს, რომლებიც წარმოადგენენ ვეტერინარული განათლების აუცილებელ კომპონენტს.*

მაკროკომპეტენციები და სწავლის დარგობრივი შედეგების წარმოადგენილ ჩარჩოში „4A და 5A“ განსაზღვრავს მე 4 და მე 5-6 საწავლო წელს

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.

დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით. შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ, დანართი 2 https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/masters.php

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	ბიომოლეკულების ქიმიური და სტრუქტურული საფუძვლები	9
2.	უჯრედის ბიოლოგია და თერმოდინამიკა	8
3.	ქსოვილური სითხეების და ორგანოთა ბიოლოგია	5
4.	გამოყენებითი მათემატიკა ბიოლოგიაში	8
5.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
6.	ბიომრავალფეროვნება, ფილოგენეტიკური და ეკოსისტემური მიდგომები	4

7.	სწავლის მეთოდები და პროცედურები, კომუნიკაციის საშუალებები	7
8.	ვეტერინარია, ცხოველები და საზოგადოება	5
9.	ენერგია, კინეტიკა, მეტაბოლიზმი და ცილების სინთეზი	6
10.	ბიოფიზიკა და ცოცხალი ორგანიზმების ფიზიოლოგია	4
11.	ფიზიკა და ქიმია ცხოველთა დიაგნოსტიკაში	4
12.	მეცხოველეობა და საზოგადოება	4
13.	ზოგადი მიკრობიოლოგია, პარაზიტოლოგია და ბიოუსაფრთხოება	5
14.	მომხმარებელთან კომუნიკაცია და პროფესიული ეთიკა	2
15.	ანატომიის საფუძვლები, ფუნდამენტური ანატომია (ანატომია 1)	4
16.	სამეცნიერო ინგლისურის ძირითადი ინსტრუმენტები	2
17.	უჯრედული და მოლეკულური ფუნქციური ფიზიოლოგია	4
18.	ცხოველთა ეთოლოგია და მიდგომები	2
19.	ცხოველთა ჰისტოლოგია	4
20.	ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება, დამუშავება	3
21.	იმუნოლოგია, ანთება და ვაქცინოლოგია	4
22.	ცხოველთა ბიოლოგია, გენეტიკა და ბიოტექნოლოგია	5
23.	კომუნიკაცია - ხარისხის უზრუნველყოფა - მენეჯმენტი	1
24.	ღრუთა ტოპოგრაფია და ვიზუალიზაციის საფუძვლები (ანატომია 2)	4
25.	საბაზისო ინგლისური ვეტერინარებისთვის	2
26.	ძირითადი ფუნქციების კომპლექსური ფიზიოლოგია	5
27.	მესაქონლეობა (მცოხნავთა გამრავლება)	5
28.	გალენური აფთიაქი, ფარმაკოკინეტიკა და უსაფრთხოება	4
29.	გარე პრაქტიკა 1602_გამოცდილება ვეტერინარის ასისტენტობისთვის (273)	2
30.	რეგულაციები ფარმაციაში და ფარმაკოდინამიკა	4
31.	ინფექციოლოგია	5
32.	მარკეტინგული სტრატეგია და მენეჯმენტი	3
33.	რეგიონალური ანატომია (ანატომია 3)	4
34.	პროფესიული და ინტერკულტურული კომუნიკაცია (ინგლისური L 3)	3
35.	მედიკო-ქირურგიული პროპედევტიკა	4
36.	ზოონოზები და კვებითი ჯაჭვის დაბინძურება	3
37.	ანტიბიოტიკები, ანტიპარაზიტული და ანტიმიკოზური საშუალებები	3
38.	გარე პრაქტიკა 1602_პროფესიული საქმიანობა ლაბორატორიაში (162)	1
39.	გარე პრაქტიკა 1502_პროფესიული საქმიანობა ფერმაში (167)	1

40.	მცოხნავთა დაავადებები-1	3
41.	ინტეგრირებული სემიოლოგია და პათოფიზიოლოგია	3
42.	დერმატოლოგია - პარაზიტოლოგია და გარეგანი მიკოლოგია	3
43.	ცხენის დაავადებები 1	3
44.	სამეცნიერო კომუნიკაცია (ინგლისური)	3
45.	ჯანდაცვის რეგულაციები და რეგულირებადი დაავადებები	3
46.	კლინიკური ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია	4
47.	პათოლოგიური ანატომია, ონკოლოგია და ზოგადი პათოლოგია	4
48.	გამრავლება (რეპროდუქტოლოგია)	3
49.	გარე პრაქტიკა 2801_პირველადი დახმარება პროფესიულ სიტუაციაში UE (282)	2
50.	მტაცებელთა პრევენციული მედიცინა / Preventive Medicine for Carnivores	3
51.	ქირურგიული ტექნიკა (VirtualVET)	3
52.	მცოხნავთა დაავადება 2	4
53.	კლინიკური პათოლოგია	4
54.	მეანობა	4
55.	ქირურგიული პათოლოგია	2
56.	მტაცებლების პათოლოგია 1	6
57.	დაავადებათა პათოლოგიური ანატომია და სპეციალური ონკოლოგია	4
58.	ვეტერინარული ეთიკა და მეწარმეობა	2
59.	მეფრინველეობის და აკვაკულტურის წარმოება და მედიცინა	3
60.	მომზადება კლინიკური აქტივობისთვის (PAC) /	4
61.	გადაუდებელი ინტენსიური თერაპია და ანესთეზია	3
62.	ღორისა და ბოცვრის წარმოება და მკურნალობა	3
63.	ცხენის დაავადებები 2	3
64.	სურსათის უვნებლობა და ხარისხი	3
65.	მტაცებლების პათოლოგია 2	5
66.	ცხოველთა პოპულაციების ჯანმრთელობის კონტროლი	2
67.	ეგზოტიკური ცხოველების (NAC) პათოლოგია	2
	კლინიკური აქტივობა- 10 კრედიტი	
	საერთო კურსები ორივე მიმართულებისთვის	
68.1	პრეკლინიკური სემინარი	1
68.2	ანესთეზია	3
68.3	კლინიკური ტოქსიკოლოგია	1
68.4	რადიოლოგია (სამედიცინო ვიზუალიზაცია)	3
68.5	აუტოპსია	2
69.	**კომპანიონი ცხოველები და ცხენები -24 კრედიტი**	

69.1	პრევენციული მედიცინა	2
69.2	კომპანიონი ცხოველების მედიცინა	4
69.3	დერმატოლოგია, პარაზიტოლოგია, მიკოლოგია	3
69.4	ქირურგია	3
69.5	ჰოსპიტალიზაცია - ინტენსიური თერაპია	3
69.6	კომპანიონი ცხოველების რეპროდუქცია	3
69.7	ცხენის მედიცინა, ქირურგია და რეპროდუქცია	6
70.	**ს/ს ცხოველები და ვეტერინარული ჯანდაცვა- 19 კრედიტი**	
70.1	ჰიგიენა და სურსათის უვნებლობის კონტროლი	2
70.2	მ.რ.პ. პოპულაციური მედიცინა	4
70.3	მ.რ.პ. რეპროდუქცია	2
70.4	გარეული ცხოველები	1
70.5	მონოგასტრული ცხოველების მედიცინა	3
70.6	პირუტყვის კერძო მედიცინა	7
71.	**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები -5 კრედიტი**	
71.1	ნადირთმცოდნეობა	2
71.2	საკვებწარმოება	2
71.3	რძე და რძის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია	3
71.4	ხორცის გადამუშავების ტექნოლოგია	3
71.5	ფუტკრის ბიოლოგია და მოშენება	2
71.6	თევზის წარმოება და მედიცინა	2
72.	**თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები**	
72.1	საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზი	**5**
72.2	მოლაპარაკების წარმოება	
72.3	ინტერნეტ-მარკეტინგი	
73.	აკადემიური წერა	5
	ცოდნის გაღრმავება & სამაგისტრო ნაშრომი არჩევითი მიმართულებები	
74.	**აქტივობები სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის სექტორში- 15 კრედიტი**	
74.1	მედიცინა და ქირურგია	4
74.2	ჯანმრთელობის მართვის სერვისები	4
74.3	პრობლემური საკითხების აუდიტი	4
74.4	შემთხვევებთან დაკავშირებული კონფერენციები-სემინარები	3
75.	**აქტივობები შინაური ბინადარი (კომპანიონი) ცხოველების სექტორში - 15 კრედიტი**	
75.1	ანესთეზია, ანალგეზია და რეანიმაცია	1
75.2	გადაუდებელი შემთხვევები კომპანიონ ცხოველებში	1

75.3	დერმატოლოგია/პარაზიტოლოგია/მიკოლოგია	2
75.4	ჰოსპიტალიზაცია - ინტენსიური თერაპია	2
75.5	სამედიცინო ვიზუალიზაცია	2
75.6	თერაპია და სპეციალიზებული მედიცინა	2
75.7	პრევენციული მედიცინა	1
75.8	ეგზოტიკური ცხოველების მედიცინა (NAC)	2
75.9	კომპანიონი ცხოველების რეპროდუქცია	2
76.	**აქტივობები ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანდაცვის სექტორში - 15 კრედიტი**	
76.1	ცხოველების შეკავება და მართვა	1
76.2	პირუტყვის კლინიკური გამოკვლევა	3
76.3	სემინარი პარაზიტოლოგიის შესახებ	2
76.4	სემინარი _ რძის ბაქტერიოლოგია	2
76.5	ჰიგიენია და საკვების ხარისხი	2
76.6	საკანონმდებლო - კვლევითი საქმიანობა	2
76.7	წერილობითი ანგარიშების მომზადება	1
76.8	გარემო და ველური ბუნება	2
77.	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	20